ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

გ რ ძ ა ნ ებ ა N 37 1187

19/09/2016

ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84 მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ"–ქვეპუნქტის „დ.ა"–ქვეპუნქტის, „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 სექტემბრის №38 162 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84 მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

1.2. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84 მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84 მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 50000 (ორმოცდაათიათასი) ლარი.

1.4. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84 მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

1.5. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84 მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) ელექტრონულ აუქციონზე საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

1.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი